

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

24 თებერვალი, 2017 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში - „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ და

მეორე მხრივ, შპს „პ.კ ინვესტი“, ს/კ: 405109555 (შემდგომში - „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის, სოფიო ჭოხონელიძის (პ/ნ 01007008985) მიერ,

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში - „მემორანდუმი“) შემდეგზე:

1. მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის (შემდგომში - „ელექტროსადგური“) მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა და ოპერირება ამ მემორანდუმით და მხარეთა შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით (შემდგომში - „პროექტი“).

2. პროექტის ვადები და პირობები

2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დანართით N2 განსაზღვრულ ვადაში, მემორანდუმის დანართ N1 და N2-ით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად, ვალდებულია:

2.1.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;

2.1.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში) და წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“);

2.1.3. დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარუდგინოს ის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;

2.1.4. ჩაატაროს საჯარო განხილვები და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;

2.1.5. სამინისტროს წარუდგინოს წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე (შემდგომში - „წინადადება“) მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.

2.2. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მემორანდუმის 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას, მან სამინისტროს უნდა წარუდგინოს წინადადება დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:

2.2.1. კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობაზე;

2.2.2. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და საპროგნოზო წლიური გამომუშავების ჩათვლით;

2.2.3. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებსა და მდინარის ნიშნულებს;

2.2.4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;

2.2.5. სრულ ანგარიშს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შესახებ.

- 2.2.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (საჯარო განხილვების შედეგებით).
- 2.3. თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგების ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის შემდგომი განხორციელების ან განუხორციელებლობის თაობაზე და შესაბამის შეტყობინებას გაუგზავნის სამინისტროს, მისთვის მემორანდუმის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული წინადადების წარდგენამდე.
- 2.4. კომპანიის მიერ მემორანდუმის 2.2 პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 5 (ხუთი) თვის ვადაში სამინისტრო და კომპანია ერთობლივად განიხილავენ ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს და შესაბამისი მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დასაბუთებულ ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) პირობებს, რომელზეც შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მთავრობას, ხოლო ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობისა და ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე მთავრობის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეები ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას. მთავრობის გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ კომპანიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგებს და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და საჯარო განხილვის შედეგებს.
- 2.5. ელექტროსადგურის მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 50,000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების თარიღს უნდა აღემატებოდეს 5 თვით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ.
- 2.6. მთავრობა, მემორანდუმის დანართით N2 განსაზღვრული ვადის განმავლობაში კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა მემორანდუმის 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 2.7. წინამდებარე მემორანდუმის 2.4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების ვადის ამოწურვამდე მთავრობა არ გადასცემს სხვა პირს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას, რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად სამინისტროსთვის წარდგენილ იქნა წინადადება ან/და ამ მემორანდუმის მიხედვით, მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, გარდა მემორანდუმის 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 2.8. მთავრობა უფლებამოსილია მემორანდუმის 2.6 ან/და 2.7 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე კომპანიის თანხმობის გარეშე გადასცეს დანართი N1-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლება სხვა პირს, თუ:

- 2.8.1. მთავრობას გააჩნია დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კომპანია ვერ უზრუნველყოფს ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ჩატარებას;
- 2.8.2. კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ნებისმიერი ვადა;
- 2.8.3. კომპანიამ ელექტროსადგურის მშენებლობაზე წერილობით უარი განაცხადა.
- 2.9. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შესახებ ანგარიში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, საჯარო განხილვების შედეგები, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერი დოკუმენტი და ნახაზი, თუ:
 - 2.9.1. მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წინადადება არ იქნა წარდგენილი;
 - 2.9.2. მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ მხარეთა შორის არ დაიდო ხელშეკრულება მემორანდუმის 2.4 პუნქტის შესაბამისად ;
 - 2.9.3. დადგა 2.8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება.
- 2.10. ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი („ზამთრის პერიოდი“) ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამოიმუშავებული ელექტროენერჯის სრული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს შიდა (ადგილობრივ) ბაზარზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.
- 2.11. თუ ელექტროსადგურის განთავსების სავარაუდო ადგილი აღმოჩნდება დაცული ტერიტორიის ფარგლებში, ელექტროსადგურის მშენებლობა ვერ განხორციელდება. თუ სავარაუდო ტერიტორიებზე არსებობს ლიცენზირებული კარიერი ან წიაღისეულის საბადო, საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებული პირმა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა მოიპოვოს წიაღით მოსარგებლის შესაბამისი თანხმობა, ხოლო ელექტროსადგურის განთავსების სავარაუდო ადგილის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მოხვედრის შემთხვევაში - სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობისათვის დადგენილი წესით.
- 2.12. მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ (ს/კ: 404391975) საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს დავალების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს მასშტაბით არსებული ენერჯეტიკული პოტენციალის შესწავლას. შესაბამისად, შესაძლებელია წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის პარამეტრები ან/და ადგილმდებარეობა შეიცვალოს სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების გათვალისწინებით.
3. პროექტის განხორციელების ხელშეწყობა
 - 3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემას (საკუთრებით ან სხვა უფლებით) იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მემორანდუმის პირობები.

3.2. მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის პროცესში, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მემორანდუმის პირობები.

4. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

4.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

4.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ დანართი N2-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროგრესს და უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებულ შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში, მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შესაბამისი ხარისხის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით კომპანიას განუსაზღვროს დამატებით 3 (სამი) თვემდე გონივრული ვადა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი დრო არ განაპირობებს მემორანდუმის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

5. მემორანდუმის მოქმედება

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

5.2. მემორანდუმის მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს:

5.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

5.2.2. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, სამინისტროს მიერ კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) სამინისტროსთვის კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადება არ იქნა წარდგენილი;

ბ) კომპანიის მიერ 2.2 პუნქტის შესაბამისად სამინისტროსთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ მხარეთა შორის არ დაიდო ხელშეკრულება მემორანდუმის 2.4 პუნქტის შესაბამისად;

გ) თუ ადგილი ექნება 2.8. პუნქტის ერთი ან მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს - მემორანდუმის 2.6. ან/და 2.7 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს;

5.2.3. ავტომატურად, მემორანდუმის 2.4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადებისთანავე;

5.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს მემორანდუმის 2.10. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

6. ცვლილებები

6.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

- 6.2. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების, საჯარო განხილვების შედეგების შედეგად, შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, ნიშნულები და სხვა, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მთავრობა განიხილავს მემორანდუმში ცვლილებების შეტანის საკითხს.
- 6.3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან/და პროექტის განხორციელების პროცესში კომპანია შეფერხდება მისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მიზეზის გამო (მათ შორის, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო კერძო საკუთრებაში არსებული ან დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისგან/მოსარგებლეებისგან სათანადო უფლებების გაფორმების ან გადმოცემის, მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის გამო), კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მთავრობა უფლებამოსილია განიხილოს მემორანდუმით გათვალისწინებული ვადების შესაბამისი პერიოდით გადაწვევის ან/და მემორანდუმში სხვაგვარი ცვლილებების შეტანის საკითხი, რის შედეგადაც კომპანიას შესაძლოა მიეცეს დამატებითი ვადა მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად შესაბამისი გაცდენილი ვადის ოდენობით.
- 6.4. იმ შემთხვევაში თუ კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ნებისმიერი ვადის დარღვევა გამოწვეულია მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სხვა ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის მოქმედებით ან/და უმოქმედობით, მთავრობა განიხილავს მემორანდუმით გათვალისწინებული ვადების შესაბამისი პერიოდით გადაწვევის ან/და მემორანდუმში სხვაგვარი ცვლილებების შეტანის საკითხს, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და პირობებს, რის შედეგადაც კომპანიას შესაძლოა მიეცეს დამატებითი ვადა მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად შესაბამისი გაცდენილი ვადის ოდენობით..
- 6.5. იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.
- 6.6. კომპანია, მთავრობის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილია წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები სრულიად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა, მესამე პირებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. შეტყობინება

მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორექტიონიცა, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

- 8.1. წინამდებარე მემორანდუმში განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მეშვეობით დავის გადაუწყვეტელობის შემთხვევაში, ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება წარმოქმნილი ამ მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას (მათ შორის, ომს, სამოქალაქო ომს, ინტერვენციას, შეიარაღებულ კონფლიქტს, ტერორისტულ აქტს, რადიაციას, ბიოლოგიურ ან/და ქიმიურ დაბინძურებას, აფეთქებას, ხანძარს, ეპიდემიას, ციკლონს, მეწყერს, მეხს, მიწისძვრას, წყალდიდობას, ვულკანის ამოფრქვევას, სხვა სტიქიურ უბედურებას ან/და ნებისმიერ მსგავს მოვლენას), რომელიც მხარეების გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს ხელი ეშლება მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მემორანდუმის 9.1 პუნქტში აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო, მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ. ამავე მხარემ გონივრულ ვადაში უნდა წარუდგინოს მეორე მხარეს დეტალური ინფორმაცია ფორს-მაჟორის მიზეზებისა და შედეგების შესახებ.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორი ხელს შეუშლის ნებისმიერი მხარის მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების ან მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორულ გარემოებაზე მიუთითებს, ვალდებულებების შესრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ ამ გარემოების ზემოქმედების პროპორციულად და მეორე მხარეს არ ექნება უფლება, შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ ამავე მემორანდუმით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.

10. ასლები, მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

11. ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „პ.კ ინვესტი“

სოფიო ჭობონელიძე

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მ.ზ.დ.		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
ბოყვა ჰესი	რაჭა-ლეჩხუმი, ონის მუნიციპალიტეტი მდინარე ხეურა	1400	1200	12,8 მლნ.კვტ.სთ	2,5 მგვტ

დანართი N2

ჰიდროელექტროსადგურის დასახელება: ზოცვა ჰესი	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან			
	3	6	9	12
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების დაზუსტება				
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება				
გეოლოგია, გეოფიზიკა				
სეისმური ანგარიში				
სამშენებლო მასალების კვლევა				
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები				
ჰიდრავლიკური კვლევები				
ალტერნატივების ანალიზი				
ტექნიკური დიზაინი				
ინფრასტრუქტურა				
ელექტროენერჯის წარმოება				
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი				
სამუშაოების მოცულობის უწყისი				
მშენებლობის ორგანიზაცია				
ეკონომიკური ანალიზი				
ფინანსური ანალიზი				
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა				
მუშახელის მომზადების გრაფიკი				
ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშის წარდგენა				
ეკოლოგია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა				
საჯარო განხილვების შედეგების მომზადება და წარდგენა				
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა				
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა				



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№213 2017 წლის 9 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „პ.კ ინვესტს“ შორის „ზოცვა ჰესის“
თაობაზე დასაძებნი ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „პ.კ ინვესტს“ შორის „ზოცვა ჰესის“ თაობაზე დასაძებნი ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010131746195117

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: infr@justice.gov.ge
24 a. Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: infr@justice.gov.ge

№505

26 / იანვარი / 2017 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2017 წლის 20 იანვრის №04/267 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „პ.კ. ინვესტს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ურთიერთგაგების მემორანდუმის 2.9 პუნქტში არსებული კომპანიის ვალდებულება – მოთხოვნისთანავე უსასყიდლოდ გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, მიზანშეწონილია ამავე პუნქტის 2.9.2 ქვეპუნქტში ასევე გალასხად უკავშირდებოდეს ურთიერთგაგების მემორანდუმის 2.4 მუხლით დადგენილ ვადაში ხელშეკრულების არდადებას. ამასთან, მსგავსი ჩანაწერი მიზანშეწონილია, დაემატოს ურთიერთგაგების მემორანდუმის „5.2.3.გ“ ქვეპუნქტსაც.

2. მემორანდუმის პროექტის 6.4 მუხლს მიზანშეწონილია, დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: „... ცვლილების შეტანის საკითხს, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები, რის შედეგადაც ...“.

3. აქვე შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის პროექტი შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ, „5.2.2“ და „5.2.3.ა“) ქვეპუნქტები უთითებს მემორანდუმის შეწყვეტის ერთსა და იმავე საფუძველს. შესაბამისად, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, „5.2.2“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს მემორანდუმის პროექტიდან.

პატივისცემით,

გ. დხიჭავაძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15148153, 16/07/2015 12:25:04

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს პ.კ. ინვესტი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405109555
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 16/07/2015
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნაფარეულის ქ. N 4 ბ. 3
დამატებითი ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: japaridzedavid@yahoo.com
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01007008985, სოფიო ჭოხონელიძე

პარტნიორები

შესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01008012011, დავით ჯაფარიძე	100.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge